ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

## მეორე წელიწადი

გამოდის შაბათობით.

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

**ხელის-მოწერა მიიღება:**
ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრ ипными пло სა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ი этомъ всѣмъ ქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ной мнѣ губе

№ 3. შაბათი. ніемъ этой во. 8 თებერვალს 1869 წ.


слѣдить и есл

### შინაარსი:

**ოფიციალური ნაწილი:**
ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის განცხადებანი სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებისა და მოსამართლეების დმი.—**არა ოფიციალური ნაწილი.**— მოძღვრება თქმული შობა-დღეს.—ახალდაბადებული ყმაწვილის ყურის გდება.—მიწის ძვრა და ცეცხლ-მქშინავი მთები.—მიწის გასუქება ჩინეთში.—სხვა და სხვა ამბები.

## ოფიციალური ნაწილი.

# განცხადება

ტფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებისა და მოსამართლეებისადმი.

დამარხვის დროს კანონიერის წესის შეუსრულებლობისა გამო, ტფილისის გუბერნიის ერთს სოფელში მოხდა შემდეგი შემთხვევა: ერთს სახაზინო გლეხს შვილი გაუხდა ავად და ეგონა, რომ მოუკვდა. ამისთვის მოიწვია მღვდელი იმის დასასაფლავებლათ და ქრისტიანული წესის აგების შემდეგ, ყმაწვილი კუბოთი ჩაასვენეს საფლავში და როგორაც კი მღვდელმა პირველი ნიჩაბი მიწა დააყარა, ყმაწვილის ტირილი მოესმათ კუბოდგან. ამან ცხადათ დაარწმუნა იქ მყოფნი, რომ ყმაწვილი მკვდარი არ ყოფილიყო და იმ დროს მოსულიერებულიყო.

საექიმო პოლიციის წესდებულების კანონებისამებრ მეცამეტე ტომში არის დადგენილი შემდეგი წესი:

მუხლი 917. აკრძალულია შემდეგ სიკვდილისა სამ დღეზე ადრე დამარხვა, თუ ქირით ან სხვა вольно слѣдова მყოფობით არ მომკვდარა კაცი; будутъ облож ნებით, ან ხურევებით, ან ყვავილ и даже вовс ლათი დამყივანა ხველათი; მხ йнымъ дор შემთხვევაში, რომ ავათმყოფობა კა ბისაც არ გადაედვას, ზემოთ მოხს торые покаж ვაზე ადრე უნდა დამარხონ, რომ ывая свои არის ამა წიგნის მეოთხე განყოფ гуть быть ახსენებული.

მუხლი 926. სამარე, რაც შეიძლება, ღრმათ უნდა ამოთხარონ, ისე რომ საფლავის სიღრმე ორ არშინ ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ყველა ამა ზემოთ მოხსენებულზე მივაქცევინებ რა თვალ-ყურს სასოფლო მამასახლისებს და მოსამართლეებსა, მე სასტიკათ ვუბრძანებ იმათ თავის მხრითაც ჰქონდესთ დაუძინებელი ყურადღება სოფლელებზე, რომ იმათ მტკიცედ აასრულონ ნაჩვენებნი წესნი და არავითარი ამ გვარი უბედურება არ მოხდეს ამიერიდგან; ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან კანონითა.

ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ა. ორლოვსკი.

# განცხადება

ტფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებს და მოსამართლეებს.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხმა, 1868 წელს 20 დეკემბერს დაწერილ განცხადებასთან, №4608, წარმომიგზავნა რა რაპორტი ბლალოჩინის დეკანოზის იოანე კირიაკოვისა, იმის მრევლში თრიალეთის საპრისტავოს მკვდრების დასაფლავების შესახებ წესის აუსრულებლობაზე ბერძნების მიერ, მთხოვს განკარგულების მოხდენას, რაიცა შესაძლო არის ჩემგან ამ საგნის შესახებ.

ბლალოჩინის კირიაკოვის რაპორტიდგან სჩანს, რომ თუმცა თვითონ ბლალოჩინიცა და მრევლის მღვდლები უქადაგებენ, რომ სამ დღეზე ადრე შემდეგ სიკვდილისა არ დაასაფლავონ და სამ არშინზე ნაკლები სიღრმე სამარისა არ მოსთხარონ, მაგრამ ბლალოჩინის ხელქვეითი მრევლის მცხოვრებნი მაინც ჩვეულებისამებრ ჰმარხვენ იმავე დღეს, როგორაცკი მოკვდება, და სამარესაც არა სთხრიან ღრმათ ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს ერთი შემთხვევა, რომელიცა მოხდა ნოემბრის თვეში სოფელს ბარმახსიზს: იქაურს მცხოვრებს სიმონა ძარელიევს მოუკვდა შვილი და მაშინვე მოიწვიეს მღვდელი, რომელმაც დადგენილის წესისამებრ გაასვენა მიცვალებული საყდარზე; შემდეგ წესის აგებისა მიიტანა საფლავთან, მაგრამ როგორც კი ეს ყმაწვილი ჩაასვენეს საფლავში და მღვდელმა პირველი ნიჩაბი მიწა დააყარა, მაშინვე ყმაწვილმა სული ამოითქვა და დაიწყო ტირილი.

ამიერითგან ამისთანა უბედურის შემთხვევების ასაცილებლათ, სასტიკათ ვუბრძანებ სასოფლო მამასახლისებს და მოსამართლეებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პირდაპირ აღმასრულებლებს სოფლებში კანონი განმარტებულის წესიერებისა, ჰქონდესთ დაუძინარი ყურადღება, რომ მიცვალებულნი იმათის სოფლისა, თანახმად 1857 წლის სამოქალაქო სჯულთა კრების XIII ტომის 917 მუხლისა, სამ დღეზე ადრე შემდეგ სიკვდილისა არ დამარხონ, თუ სხვა რაიმე გადამდები ავათმყოფობისაგან არ მიცვლილა, აგრეთვე თანახმად იმავე ტომის 926 მუხლისა, სამარენი უნდა იყვნენ გათხრილნი ორ არშინ ნახევარ სიღრმეზე მაინცა.

Ამასთანავე წინათვე ვაცნობებ, რომ თუ მტკიცედ არ აასრულებენ ამა მოწერილობასა, სოფლის მამასახლისები და მოსამართლეები სასტიკად დაისჯებიან კანონისამებრ.

Თფილისის სამოქალაქო გუბერნატორი Კ. ᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲘ.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

Თფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადო სასამართლოებს.

Ტფილისის გუბერნიის ზოგიერთს ალაგების სოფლებში ხმარობენ მთელის დამრგვალებულის ფიცრისაგან უსოლო და უღერსო თვლებიანს ოსმალურს ურმებს, რომლის თვლებიც შუაადგილზე არიან სქელნი და ნაპირები კი პირიანები აქვთ და ზედ სიმრგვლივ შემოკრული აქვთ რკინები; ეს თვლები, თუ ნამეტნავათ ურემი მძიმეთ არის დადებული, — ძალიან ღრმათა სჯდება მიწაში და მობრუნების დროსაც ჰგლეჯს მთელ-მთელ მიწის ბელტებს, ანუ ნამზღვლევებს და ამისთვის ამნაირი ურმები სრულებით ახდენენ გზებსა: უბრალო გზების ხდენით, თვითონ მცხოვრებლებს ეძლევათ ზარალი, ამისთვის რომ ამ გზებს უნდა მუდამ კეთება, რომლისათვისაც უნდა გამოვიდეს ხოლმე სოფლის ხალხი სამუშაოთ და ამ რიგათ თავის საკუთარ საქმეზე ხშირად მოცდენილნი არიან; ეს ოსმალური ურმები აგრეთვე ახდენენ შოსეს (ქვიშით დაფენილს გზებს) და ამისგამო სოფლის მცხოვრებლებს შეჰყავთ ხაზინა დიდს ზარალში. Ამისათვის უმაღლესი მთავრობა ითხოვს, რომ Ტფილისის გუბერნიის სოფლის ხალხმა თავიანთვე სასარგებლოთ, დაუყონებლათ დაიწყონ ყველა ურმების შეცვლა პოილსკებზე, რომლების თვლებს გარშემორტყმული უნდა ჰქონდესთ პრტყელი რკინის კრკალები.

Ვანუცხადებ რა ამაზედ ყველა სოფლების მცხოვრებთ, ჩემდამო რწმუნებულს ღუბერნიაში, განვაფრთხილებ, რომ აღსრულებისათვის ამა მმართებლობის ნებისა მე მექმნება სასტიკი თვალყურის ჭერა და თუ მცხოვრებნი არ ეცდებიან თავიანთ ნებით ამ ბრძანების მიხედვას, მაშინ იმ შოსეზედ მოსიარულე ურმებს დაედებათ დიდი ბაჟი და მერე კიდეც აეკრძალებათ სიარული შოსეზედ, რომელიც ასე ძვირათ უჯდებ... ...ნას.

Იმ მცხოვრებთ... ება; ლია ს... მელნიც აჩვენებ... ნ მაგალითს ...ორსავე შე... ებით და შეცვლით თავიანთ ურ... ს გეჯები და ... რათ როგორც, მთავრობამ უჩვ... ი სუსტს თვლ... ი გულდაჯერებულნი უნდა ...ლი აქვსთ შე... თავრობა არდაარჩენს მათ ... ი ცარიელი ... და დაუჯილდოებლათ. Ზე... ეჯაში, იმათ ... ებული მთავრობის ბრძანების ... ან სათვალე... ლათ დაახლოვებითი თვალყური ... რჩებიან. ... დობათ სოფლების ნაცვლებს ... ა ლია სათი... ნაშემწეთა და თუ ამათ მთავრობ... ტკარა გარე... ლობა ამ საქმეში არ აასრულეს, ...ა; მაგრამ ... შეეცემიან პასუხის გებაში.

Ნამდვ... სდის თვალ... მოაწერა Თბილისის Გუბერნატორმა, Ტაინის სოვეტნიკმა Კ. Ორლოვსკიმ.

Შეამოწმა: კანცელარიის გამგებელმა Კ. Ზისსერმანმა.

## ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ

# ОБЪЯВЛЕНІЕ

*Старшинамъ и Судьямъ сельскихъ обществъ Тифлисской губерніи.*

Въ одной изъ деревень Тифлисской губерніи, вслѣдствіе несоблюденія предписанныхъ законами правилъ о погребеніи умершихъ, былъ слѣдующій случай: казенный крестьянинъ, признавши умершимъ младенца своего, въ тотъ же самый день пригласилъ священника для отпѣванія и преданія землѣ, и когда послѣ исполненія христіанскихъ требъ мнимо-умершій младенецъ былъ опущенъ въ могилу и священникъ бросилъ первую лопату земли на гробикъ, то изъ онаго послышался плачъ, удостовѣрившій предстоящихъ, что младенецъ ожилъ.

По дѣйствующимъ узаконеніямъ, изъясненнымъ въ XIII томѣ законовъ устава медицинской полиціи, установлены слѣдующія правила:

Ст. 917. Запрещается вообще хоронить мертвыхъ прежде истеченія трехъ сутокъ, по удостовѣреніи въ смерти, если смерть послѣдовала не отъ чумы, или какой либо другой заразительной болѣзни, какъ то: гнилой и прилипчивой горячки, оспы, кори, скарлатины: въ сихъ только случаяхъ, дабы предотвратить распространеніе заразы между живыми, приступать къ погребенію прежде означеннаго срока, какъ сіе относительно чумныхъ опредѣляется въ четвертомъ раздѣлѣ сей книги.

Ст. 926. Трупы зарывать, сколько можно, глубже, такъ чтобъ глубина ямы была не менѣе двухъ аршинъ съ половиною.

Обращая вниманіе на все вышеизложенное сельскихъ старшинъ и судей, я строго предписываю имъ имѣть съ своей стороны неослабное наблюденіе надъ поселянами за точнымъ исполненіемъ ими объясненныхъ правилъ, въ предотвращеніе несчастныхъ случаевъ на будущее время, въ противномъ случаѣ виновные будутъ наказываемы по всей строгости законовъ.

Тифлисскій Гражданскій Губернаторъ *К. Орловскій.*

# ОБЪЯВЛЕНІЕ

Старшинамъ и Судьямъ Сельскихъ Обществъ Тифлисской Губерніи.

Его Высокопреосвященство экзархъ Грузіи, при отзывѣ отъ 20-го Декабря 1868 года, за №4608, препровождая комнѣ копію съ рапорта Благочиннаго протоіерея, Іоанна Киріакова, о не соблюденіи прихожанами изъ грековъ Тріалетскаго приставства существующихъ постановленій при хороненіи умершихъ, проситъ сдѣлать зависящее отъ меня распоряженіе по этому предмету.

Изъ рапорта Благочиннаго Киріакова видно, что жители подвѣдомственныхъ ему приходовъ, не смотря на увѣщанія его Киріакова и мѣстныхъ священниковъ, вырывать могилы глубиною на три аршина и оставлять умершихъ непогребенными до трехъ дней,-хоронятъ ихъ

по привычкѣ, въ самый день ихъ смерти и могилахъ кое какъ вырытыхъ. Въ доказательство тому приводитъ случившееся въ ноябрѣ мѣсяцѣ въ сел. Бармахсизъ слѣдующее происшествіе: у тамошняго жителя, Семеона Кареліева, умеръ младенецъ и тотчасъ же былъ потребованъ священникъ, который, явясь, установленнымъ порядкомъ внесъ умершаго въ церковь; потомъ совершивъ отпѣваніе, проводилъ до могилы, но когда младенецъ этотъ былъ опущенъ въ могилу и священникомъ брошена на гробъ первая лопатка земли, то мнимый мертвецъ ожилъ и сталъ плакать.

Въ отвращеніе повторенія на будущее время подобныхъ несчастныхъ случаевъ, я строго предписываю сельскимъ старшинамъ и судьямъ, какъ непосредственнымъ исполнителямъ въ селахъ предписаннаго закономъ порядка, имѣть не ослабное наблюденіе, чтобы умершіе жители ихъ селеній, согласно 917 ст. XIII т. св. зак. гражд. изд. 1857 года, были похороняемы не прежде истеченія трехъ сутокъ по удостовѣреніи въ ихъ смерти, если таковая послѣдовала не отъ какой либо заразительной болѣзни; а также чтобы, согласно 926 ст. того же тома, ямы для зарыванія мертвыхъ труповъ, были глубиною не менѣе двухъ аршинъ съ половиною.

При семъ предваряю, что за не точное исполненіе сего, виновные въ томъ сельскія старшины и судьи, будутъ подвергаемы взысканіямъ по всей строгости законовъ.

Тифлисскій Гражданскій Губернаторъ *К. Орловскій.*

# ОБЪЯВЛЕНІЕ

Сельскимъ общественнымъ Управленіямъ Тифлисской Губерніи.

Въ нѣкоторыхъ частяхъ Тифлисской Губерніи, въ сельскомъ населеніи, употребляется такъ называемая турецкая арба съ особеннаго рода безъ спицъ колесами, представляющими кружокъ цѣльнаго дерева, въ серединѣ весьма толстый, а къ краямъ заостренный, окованный узкою желѣзною полосой; колеса эти, особенно если арба тяжело нагружена, глубоко врѣзываются въ почву, а при поворотѣ вырываютъ цѣлыя глыбы земли, обозъ же такихъ арбъ причиняетъ совершенную порчу дороги. Между тѣмъ такой вредъ, причиняемый дорогамъ обыкновеннымъ, принуждаетъ самихъ же жителей исправлять ихъ и для этого давать частые усиленные наряды, а подвергая порчѣ дороги шоссейныя, жители вводятъ казну въ громадные расходы. А потому высшее начальство требуетъ, чтобы жители Тифлисской губерніи для собственной же пользы приступили безотлагательно къ замѣнѣ всѣхъ арбъ повозками, колеса которыхъ были бы окованы обыкновенными плоскими шинами.

Объявляя объ этомъ всѣмъ сельскимъ обывателямъ ввѣренной мнѣ губерніи, предваряю, что за исполненіемъ этой воли правительства я буду строго слѣдить и если жители не постараются добровольно слѣдовать этому указанію, то арбы будутъ обложены высшимъ шоссейнымъ сборомъ и даже вовсе воспрещены для ѣзды по шоссейнымъ дорогамъ, такъ дорого стоющимъ.

Тѣ изъ жителей, которые покажутъ примѣръ, замѣняя и передѣлывая свои арбы по указанію Начальства, могутъ быть увѣрены, что Правительство не оставитъ ихъ безъ поощренія.

Ближайшій надзоръ за приведеніемъ описанной мѣры въ непремѣнное исполненіе возлагается на сельскихъ старшинъ и ихъ помощниковъ подъ опасеніемъ, за ослушаніе, подвергнуться личной отвѣтственности.

Подлинное подписалъ: Тифлисскій Губернаторъ, Тайный Совѣтникъ *К. Орловскій.*

Скрѣпилъ: Правитель Канцеляріи *К. Зисерманъ.*

## არა ოფიციალური ნაწილი.

### მოძღვრება

თქმული შობადღეს.

(შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა:)

ტროპარი.

დღეს არის დღე შობისა შჳლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსაც ხშირად ახსენებთ თქვენ სვანები ამ სიტყვით ქრისტეს მადლონ *), და ამა მიზეზისათვის ოცდა ხუთ ამა თთვეს დღესასწაულობენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი. მე ვითარცა თქვენს სულიერს მამას და წინამძღომელს მსურს განმარტება ამა დღესასწაულისა, მისთვის რომ თქვენ ამიერიდგან იცოდეთ ნამდვილად, რა იყო მიზეზი ქრისტეს შობისა, და ანუ რაისათვის დაიმდაბლა თავი თვისი ღმერთმან და იშვა ქვეყანასაზედა ხორციელად და გარეშემოუწერელად ქალწულისაგან, მე, ჩემო ძმებო და სულიერნო შვილნო, ბევრჯელ მითქვამს თქვენთვის მოკლედ მიზეზი ქრისტეს განხორციელებისა, ხან მსგავსად მოძღვრებისა და ხან ზღაპრის მსგავსად თქვენ ბუნებით ენაზედ მთარგმნელის პირით, ახლა კი მომეცა ღვთისაგან მარჯვე დრო, რომ უმეტეს ოცდა ათთა კაცთა და ქალთა გიამბოთ კიდევ მოკლე მიზეზი ქრისტეს განხორციელებისა, დღეს ყველანი უნდა მოსულიყვნენ ამ სოფელში მცხოვრებნი ეკლესიაზედ, რადგანაც დღესასწაული იყო იესოს შობისა; მაგრამ თქვენი ურწმუნოება ამაში სჩანს, რომ მარტო ოცდა ათი თუ მეტნი ქალნი და კაცნი მოსულხართ. სამართალი და ვალი იყო, რომ შეგესრულებიათ ღვთის დარიგება; მაგრამ ღვთის არ გეშინიათ და ღვდლებს რას გაუგონებთ. აბა თქვენა, **) ჩემო საყვარელნო ძმანო, მოახლოვდით ჩემდა და, გარეთ ვინც იდგეთ შემოდით, ეკლესიაში და ღვთის გულისათვის მოკლეთ ისმინეთ დღეს ჩემგან მოთხრობა შობისათვის შჳლისა იესოსი.

აი მიზეზი ქრისტეს შობისა: ღმერთმან თვისითა სახიერებითა, შექმნა ყოველივე ქმნილება ხილული და უხილავი და შემდგომ კაცი; ყოველი ქმნილება, რაიც იპოვება ქვეყანაზედ ღმერთმან შექმნა მხოლოდ სიტყვითა თვისითა; ხოლო კაცი არა სიტყვითა: არამედ აიღო მიწა ქვეყანისაგან და ჰქმნა სხეული კაცისა ხატად და მსგავსად მისსა, შთაბერა მას სული უკვდავი და იქმნა კაცი, რომელსაც უწოდა ადამ. სთქვა ღმერთმან, არა კეთილ არს ყოფად მხოლოდ კაცი ქვეყანასაზედა“; შემდგომ ადამის ღრმა ძილისა უფალმა გამოუღო მას ერთი გვერდი და შექმნა მისგან ცოლი მისი, რომლისათვის ადამ იტყვის, „ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი; ამას ეწოდოს მეა,

*) ქრისტეს მადლმა.

**) გარეშემო ეკლესიის ეკვდრებში იდგნენ სადაც სამღრთო კითხვა და გალობის ხმა არ ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე იგი შემწე ჩემი". აკურთხნა იგინი ღმერთმან, „აღორძინდით და განმრავლდით და სუფევდით ქვეყანასა ზედა". დააყენა იგინი მან სამოთხეში მშვენიერს ბაღში, რომელიც სანამდის ადამს და ევას შექმნიდა გახადა მათდა სამყოფელად, მათ დაუდო მცნება, მისცა ყოველივეს უფლება და ჭამა ხის ნაყოფთაგან, მხოლოდ აღუკრძალა მათ ერთი ხის ნაყოფის ჭამა, რომელიც იდგა შუა სამოთხეში და იწოდებოდა ხედ ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, ეს ღვთისაგან მიცემული მცნება მათ ვერ შეინახეს დიდსა ხანს, განრისხებულთა ანგელოზთა ე. ი. ეშმაკთა შეიშურეს ნეტარება კაცთა მათ და ერთმა მათგანმა იხმარა ვერაგობა და თავისს ეშმაკურის ქცევით შეაცდინა ევა და აჭამა აღკრძალულის ხისაგან ნაყოფი, და მან მიართვა ადამს; მანაც სჭამა. მოშორდათ მათ ნათელი, რომლითაც იყვნენ მოსილნი დარჩენ შიშველნი და სცნეს სირცხვილი ერთმანეთის მიხედვით; ამისთვის ღმერთმან დასაჯა იგინი, ვითარცა ურჩნი მისის ბრძანებისანი, გამოაგდო იგინი სამოთხიდგან და სამოთხის კარზედ დააყენა ღმერთმან ალის მახვილით მთავარ ანგელოსთა ხერუვიმი; მისთვის რომ იგინი აღარ შესრულიყვნენ მუნ საცხოვრებლად და არცა ეჭამათ ცხოვრების ხისაგან ნაყოფი. ადამს და ევას თუმცა ჰკითხა ღმერთმან თვითოეულად მიზეზი შეცდომისა და მათაც თვინიერ ბოდიშის მოხდით აღუარეს ცთომანი; მაგრამ წყევის მეტი ვერა მიიღესრა, მხოლოდ მიეცა მათ იმედი ამ სიტყვით „თესლმან დედაკაცისამან შემუსროს თავი გველისა". ამ სიტყვას მიხვდენ და მოელოდიენ მხსნელსა: ეგებ კიდევაც ფიქრობდნენ მოკლეს დროში ხსნასა, მაგრამ დაბადებიდამ სოფლისა აღსრულებამდე აღთქმისა გაიარა ხუთიათას ხუთას რვა წელმა. ამა ხუთიათას ხუთას რვა წლებთა შინა განუმეორებდა ღმერთი აღთქმასა თვისსა წმიდათა მამებთა, რათა არა დაივიწყებოდათ მომლოდინეთა აღთქმა იგი მაგალითებრ: აბრაამს აღუთქვა „თესლისაგან შენისა იკურთხეოდიან ყოველნი ტომნი ქვეყანისანი". დავით მეფესაც განუმეორა თვისი აღთქმა. შემდგომ გამოჩნდნენ წინასწარმეტყველნი, რომელნიც იყვნენ ღვთისაგან განბრძნობილნი ხალხნი; იგინი ცხადად იტყოდნენ მხსნელისათვის; მაგალ. წინასწარმეტყველნი მიქია, ზაქარია და სხვანი: ხოლო ისაიამ ნამდვილად ჰსთქვა „აჰა ქალწული მიუდგეს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით ჩვენთანა ღმერთი". წინათ ვსთქვი, რომ გავიდა დაბადებიდამ სოფლისა ხუთიათას ხუთას რვა წელნი და კიდევაც მოიწია ღვთის პირველის აღთქმის აღსრულება. ქალწული მარიამ, რომელსაც თქვენის ენით იტყვით „ღმარია" *), იყო დაწინდებული ერთის მამაკაცის იოსებისათვის. იოსები იყო კაცი პატიოსანი, მოხუცებული ოთხმოცი წლისა, ხუროთ მოძღვარი და შთამოებით დავით მეფის და წინასწარმეტყველის ნათესავთაგანი. ქალწული მარიამ იყო ასული იოაკიმ და ანნასი, რომელნიც იყვნენ კაცნი პატიოსანნი, ღვთის მოშიშნი და შთამოებით დავით მეფის და წინასწარმეტყველის ნათესავთაგანი. მარიამ იყო უმანკო ყოველთა ქალწულთა, ხოლო მისი გარემოების და სიმშვიდის აწერას მოუნდება მთელი დღე **). მოკლეთ არა ვარ ღირსი აღვწერო მისი გარემოება. იგი ქალწული მარიამ, როგორც გითხარით იყო იოსებისათვის დაწინდებული იმ პირობით, რომ მას შეენახოს იგი წმიდათ და პატივიეცეს. მოიწია თუ არა დრო მხსნელის გამოჩენისა ქვეყანასა ზედა, წინეთ მოივლინა ღვთისაგან მთავარი ანგელოსთა გაბრიელ ხარებად მარიამ ქალწულისა; თუმცა იჭვნეულობდა და ეშინოდა, რათა არა შეშინებულიყო მარიამ თვისის მისვლითა; მაგრამ მოვალს და ეტყვის: „გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ! უფალი შენთანა და კურთხეულ ხარ დედათა შორის". მშვიდი მარიამ შეშინდა ამა მოკითხვისაგან; მაგრამ ანგელოსმა დაუმატა: „ნუ გეშინია, შენ მოიგე მადლი ღვთისაგან აჰა მუცლად იღებ და შობ ძესა და უწოდე მას იესო. იგი იქნების მაღალ და უწოდების ძე მაღლისა და მისცეს მას უფალმან საყდარი დავითისა და მეუფობდეს სახლსა ზედა ისრაილისასა საუკუნოდ და სუფევა მისი არა იყოს დასასრულ". როდესაც მარიამმა ჰკითხა ანგელოსსა, როგორ იქმნების ესე, ვინაიდგან მან მამა კაცი არა იცის. ანგელოსმა მიუგო, „სული წმიდა მოვიდეს შენზედა ამისათვის, შობილსა მას წმიდას ეწოდოს ძე ღვთისა". შემდგომ ამისა მარიამმან მშვიდათ მიიღო კეთილი უწყება უფლისაგან და ანგელოსი განშორდა მას. ამა ხარების, ანუ კეთილ უწყების დღეს, წმინდა ეკკლესია დღესასწაულობს მარტის ოცდა ხუთსა დღესა, ამა ხარებისათვის მოთხრობა კიდევაც თქვენგანს გაუგონია ჩემგან ამ თქვენს მცირე ეკკლესიაში. როდესაც მოახლოვდა დრო, შობისა მისისა, გამოიცა ბრძანება ავგისტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა, მაშინ იუდიანნიც იყვნენ ხელმწიფებასა ქვეშე ავგისტოს კეისრისა. უნდა გითხრათ, რომ მარიამ და იოსები სცხოვრებდნენ ნაზარეთში და რადგან აწერის დროს მათ ჰსურდათ დაწერა იმ ქალაქში, რომელშიაც დიდის ხნიდგან ირიცხებოდნენ მათნი ნათესავნი; ამისთვის წავიდნენ ქალაქს ბეთლემსა დასაწერად ნათესავთათანა მათთა, მივიდნენ თუ არა ბეთლემის ქალაქში კიდევაც მოიწია ჟამი შობისა იესოსი. თუმცა იოსებმა იმეცადინა ეშოვნა მათთვის კარგი სადგომი; მაგრამ დიდის ხალხის მისვლის შემთხვევისაგამო ვერ იპოვა და დადგენ გამოქვაბულ კლდეში, სადაც საქონელს შერეკავდნენ მწყემსნი, და იმ გამოქვაბულ კლდეში შვა მხსნელი ჩვენი იესო მარიამმა თვინიერ სალმობისა. შეიძლებოდა, რომ მთელს ქვეყანაზედ არავინ ფიქრობდა იმ წამს სალმრთო ჩჩვილისა შობასა, ესრეთ უცნობელად, ხოლო შობასა იესოსსა იყო დიდი დღესასწაულობა ცათა შინა, ქვეყანაზედაც მოვიდნენ ანგელოსნი და პირველად აუწყეს მძინართა მწყემსთა, რომელნიცა იმდროს მწყსიდენ საქონელთა: „აჰა, გახარებთ თქვენ სიხარულსა დიდსა, იშვა მხსნელი სოფლისა მაცხოვარი ქალაქსა შინა დავითისსა" და უთხრა მათ, რომ იპოვნითო ჩჩვილსა შეხვეულსა ჩვრითა და მწოლარესა ბაგათა; იგინი ადგნენ და პირველად თაყვანი სცეს იესოსა და მრავალთა აუწყეს ჩვენება მათი. ცათა შინაცა ანგელოსნი ლაღადებდენ და იტყოდენ დიდებასა ღვთისასა ხმითა დიდითა. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასაზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ახლა ძმანო ხომ მოკლეთ გავიგეთ შობა იესოსი. ამასაც ყური მიუგდოთ და გავიგოთ, რომ იგი იშვა მხსნელად და კიდევაც გამოგვიხსნა ადამის ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან; რითი? შობითა თვისითა, სწავლითა თვისითა, ვნებითა თვი-

*) ღვთის მშობელი.

**) ეს ითქვა მისთვის, რომ შიში აქვსთ ქალწულისა და უფრო ეშინოდესთ და უბრალო ლაპარაკში არ ახსენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სითა, სიკვდილითა თვისითა და ბრწყინვალე აღდგომითა თვისითა. ახლა ვკარგათ გავშინჯოთ, თუ კი ჩვენის გამოხსნისათვის ღმერთმან ამოდენათ დაიმდაბლა თავი თვისი ჩვენ ეხლა არ უნდა დავმდაბლდეთ მის წინაშე და არა ვასრულებდეთ ნებათა მისთა, რომელნიცა მოგვეცა საცხოვრებლად ჩვენდა. ვგებ იფიქროთ, მოწყალე არის და შეგვიწყალებს? მართალია ღმერთი მოწყალე და კაცთ მოყვარე არის; მაგრამ ჩვენიდგანაც ამას ეძებს, და ჩვენ რომ არა ვართ ერთმანეთის მოწყალე და არა გვიყვარან მტერნი ჩვენნი? ღმერთი ბრძანებს „იყვარებდეთ ურთიერთ არს „მიუტევეთ და მოგეტევებისთ“ „შეიწყალეთ და მის წილ შეწყალებულ იქმნებით“. ამათ თქვენ ხრაოდეს არ ასრულებთ, ყოველთვის მტერი ხართ ერთმანეთისა, და სხვათაცა ამგვართა საქმეთა ასრულებთ. ხომ უწყით, ადამს რომ არ შეეცოდა, ვიქმნებოდით უკვდავნი? ესეც იცით, რომ ადამი ერთის მცნების შეუსრულებლობისათვის დაისაჯა ღვთისაგან და გამოიგდო მშვენიერის სამყოფელიდგან? შენ მოგვიყიდა იესომ სისხლითა თვისითა და მოგვცა წმინდანი მცნებანი მისნი საცხოვრებლად შენდა, ხოლო შენ ყოველივე მისი მოცემულის მცნების წინაამდეგი ხარ და უფრო არ იქმნები დასჯილი და გაერდნილი საუკუნო გეენიაში. მე გაფრთხილებ ყველას, ვისაც ეს ჩემი დარიგება გესმის და ვისაც არ ესმის ამ სოფელში მცხოვრებთა თქვენი ვალი იყოს და თქვენ უანბეთ თქვენის ენით, მოშორდით არა წმინდებას, ესე იგი კაცის კვლას, მრუშებას, ცრუფიცს, მტრობას, ცილის წამებას, ამაო ლაპარაკს, ენის მიტან-მოტანას, ერთმანეთის სიძულვილსა და მთვრალობას, ეს ნაკლულევანებანი უფრო ხშირად არიან თქვენში; თორემ ვერ მოგატყუებთ და ვერც პირში მოგეფერებით, იქმნებით ღვთისაგან სასტიკად დასჯილნი საუკუნოდ ჯოჯოხეთში და უკეთუ მოიქცევით, იმედი არის ყოვლად მოწყალე ღვთისაგან, შეგიწყალებსთ თვისითა მოწყალებითა და კაცთ მოყვარებითა, ვითარცა შეიწყალა მონანული ავაზაკი ჯვარსა ზედა.

რომელმან შობითა შენითა, აღმოუბრწყინვე სოფელსა ნათელი მეცნიერებისა და ვარსკვლავის თაყვანის-მცემელთა ასწავე თაყვანის ცემა შენი მზეო სიმართლისაო; აწცა განაბრწყინვე გულნი და ესწავე ჭეშმარიტი თაყვანის ცემა შენი მონათა და მხევალთა ამათ. ამინ.

მღვდელი მიხაილ მჭედლიძე,
თქმული ეცრის მრევლთადმი. სვანეთს.
25 დეკემბერს 1868 წელსა.

---

## ახალდაბადებული ყმაწვილის ყურის გდება.

ახალდაბადებულს ყმაწვილს მაშინვე ჭიპი უნდა გაუკეთდეს და კარგათ განიბანოს თბილს წყალში წმინდა უმარილო ქონითა და არა საპნითა, ამიტომ რომ საპონი მეტად ნაზს კანს ყმაწვილისას დასწვავს. განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება ყმაწვილის იღლიებს და მუწყვილებს, სადაც მოგროვებული აქვს ბევრი ჩირქი. მერე კარგათ უნდა გაამშრალონ თბილი პირსახოცებით და წინათვე მომზადებულს სარწევში უნდა ჩააწვინონ. დედას მახლობლათ არ ვარგა ყმაწვილის დაწვენა, რადგან თავის ჰყვირილით დაუშლის იმას კარგათ გამოძინებასა. ტანთსაცმელი ყმაწვილისა უნდა იყოს უბრალო და დაძინების დროს არტახებით არ უნდა შეიკრას ყმაწვილი, როგორც ჩვენში იციან. ეს უშლის ყმაწვილს სუნთქვას და ხელფეხის ნძრევას. ყმაწვილს საზრდო მაშინვე არ უნდა მისცე. ის უნდა დარჩეს ოთხი, ექვსი საათი მაინც უჭმელათ; ამას შემდეგ ყმაწვილს მოუვა მადა და მოუცილებლათ დედამ უნდა აწოვოს პირველათა. ამ წოვებით დედას ბევრი რძე ჩაუდგება ძუძუებში და მით უფრო საჭიროა პირველი დედის წოვება, რომ თუ ასე არ მოიქცა, მეხუთე ან მეოთხე დღეს იმას უცბათ გაევსება რძით ძუძუები და ეს ციებას აუტეხს, რომელსაც ეძახიან რძის ციებასა. ყმაწვილი ყოველ დღე უნდა აბანონ ხოლმე თბილ წყალში; ამიტომ რომ ამ დროს უწმინდურობა განავლისაგან იქლვრება ტანზე და ყმაწვილის კანზე ჩნდება იარები. ამასთანავე საცვალიც უნდა გამოუცვალონ. ღარიბი კაცის შვილს ორი საცვალი და ჩვრები მაინც უნდა ჰქონდეს, რომ გამოცვლის შემდეგ ძველი ჩვრები და პერანგი მაშინვე გარეცხოს ცხელი წყლით და საპნით, თორემ უამისოთ ყმაწვილის ტანიდგან მყრალი სუნი არ გამოეცლებათ და ეს ყმაწვილის სხეულს აზიანებს. მაგრამ არამცა და არამც ყმაწვილის სარეცხი იმ სახლში არ უნდა გაამშრონ, სადაც მშობიარე ქალი წევს და იმის ყმაწვილიცა. ეს ავნებს როგორც დედას, ისე ყმაწვილსა.

შარდის დენის დროს ყმაწვილს საცვალი უსველდება, ის სწუხს ამ დროს და დაიწყებს ჰყვირილსა. მომვლელი მაშინვე უნდა მიხვდეს, თუ რა ატირებს ყმაწვილსა. საცვალი უნდა გამოუცვალოს, გაამშრალოს თვითონ ყმაწვილი და ისე დააწვინოს მშრალს სარწევში. ჩვენში რომ აკვნები *) იციან და არტახებით ჰკრავენ ყმაწვილსა, ეს არ ვარგა. ყმაწვილის ნორჩს სიმრთელეს ეს ხწყენს და არას არგებს. ზოგ გამდელი რიგიანათ თვალყურს ადევნებს, ერთი ან ორი კვირის განმავლობაში ყმაწვილის შეფუთვით შეუძლიან შეიტყოს ხოლმე იმისი სურვილი გარეთ გასვლაზე, ასე რომ ქვეშსაგებელს აღარ გაასვრევინებს განავლით. შრაუბ, ამბობს, მე ვიცნობდი ბევრი იმისთანა ყმაწვილებს ორი და სამი თვისა, რომელნიც გასვლის წინათ ჰყვირილით აცნობებდენ თავის სურვილსა. ამის გამო გამდლებმა უნდა ეცადონ, რომ თვალყური კარგათ ადევნონ ჩვილსა და თავთავის დროს შეუტყონ ხოლმე, როცა მოუნდებათ კარში გასვლა. მაგრამ ვიდრე ყმაწვილი მიეჩვეოდეს თავის რიგს და ან გამდელი სანამდის ისწავლიდეს ამის შეტყობასა ბევრი დრო გადის. ამისთვის უფრო შემძლებელ დედ-მამებს ჩვენს თავად-აზნაურობაში მივსცემთ სახარჯებლო რჩევასა ამ შემთხვევაში. ქვეშსაგები რომ ჩჩვილის შარდით არ წახდეს ხოლმე, რადგან შემდეგ შარდის სუნი ძნელათღა გამოსცილდება, ვურჩევთ ლეიბზე გაუფინონ რეზინის საფენი და ამ საფენზე თხელი შალის საფენი და ამის ზევით ზეწარი.

ძუძუს წოვებს დედამ უნდა დააჩვიოს ყმაწვილი რიგითა; ოთხ ან ხუთს საათს შემდეგ ყმაწვილი ყოველთვის ითხოვს ძუძუსა. ამ რიგს უნდა მიჰყვეს დედაცა. თუნდა ყმაწვილმა ბევრიც იყვიროს სანამდის დრო არ მოვიდეს ძუძუს წოვებისა, მანამდის არ უნდა აწოვოს.

---

*) აკვნის მაგიერათ განიერი ღრმა და გძელი გობები იხმარონ კარგი იქნება. ამ გობს ორი ყური უნდა ჰქონდეს, შიგ ჯოხი უნდა იყოს გაყრილი და თავებით ეს ჯოხი ორ ბოძზე უნდა იყოს დადებული, ასე რომ, გობი იქნება ჯოხზე ჩამოკიდებული, და იმისი ქანება შეიძლება, როგორც აკვნისა.

აგრეთვე ყმაწვილი უნდა დააჩვიოს დედამ თავის რიგზე ძუძუს წოვებასა. ყოველ სამი ოთხი საათის განმავლობაში ყმაწვილი ითხოვს ძუძუსა. ამის თანახმად თავთავის დროზე უნდა აწოვოს ძუძუ დედამა და არასოდეს რიგი ძუძუს წოვებისა არ უნდა შესცვალოს, თუნდ კიდევაც ბევრი იჭყვიროს ყმაწვილმა. ძუძუს მიცემით არასოდეს არ უნდა დააჩუმოს ისა: უამისოთ ჩვილი მიიღებს ცუდს ჩვეულებას და ეჩვევა ძუძუზე დაძინებასა. ამისთანა ჩვეულება დედის კარგათმყოფობას ავნებს, ამიტომ რომ დედას დიდხანს აქვს მკერდი გადმოშლილი და შეიძლება კიდეც გაცივდეს. დედას ძუძუს თავები უხდება, აწუხებს უხეირო ლოკვა ჩჩვილისა და ღამით საწოლში ძილს უტეხს იმასა, ამგვარი წვალება ავნებს დედის სიმრთელისათვის. დილის ექვსი საათიდგან სალამოს ათ საათამდე ყოველ ოთხი საათის განმავლობაში რომ აწოვოს, ერთს დღე და ღამეში ოთხჯერ შეხვდება ძუძუს ჭმევა. ამისთანა რიგის მიყოლა დედისთვის ძალიან სასარგებლოა, რადგან ცოტა დროსაც წაართმევს და არც შესწუხდება. სოფლად რადგან საათი არ იციან, ისინი აი, ამ რიგს უნდა მიჰყვენ. როგორც კი ინათლებს, ყმაწვილს უნდა მისცენ საზრდო და იქიდგან მოკიდებული სოფლის ვახშმობამდე ოთხჯერ მეტად დღეში არ უნდა აწოვონ, ნავახშმევს შემდეგ დილამდე ძილს უნდა მიაჩვიონ.

აკვანში ყმაწვილის დაძინება, რწევითა როგორც ჩვენში იციან, არ ვარგა; რწევით ყმაწვილს თავბრუ ესხმის და თუმცა დაიძინებს, მაგრამ ეს ძილი ბუნებითი არ არის, არამედ თავბრუს დასხმით მოსულია. ამას გარდა რწევის დაჩვევა თვითონ მომვლელსაც დასტანჯავს ტყუილა-უბრალოთ. ამისთვის ვურჩევთ ჩვენს დედებს, ყმაწვილი ურწეველათ დააჩვიონ ხოლმე ძილსა.

თუ ყმაწვილი მაძღარია, მშრალათ არის და მსუბუქათა, არტახებით შეკრული არ არის და მაშინაც სტირის, ეს ცუდი ზნის ნიშანია და ამის მოსაშლელათ ყურადღება არ უნდა მიაქციო, თუნდა ძალიანაც ჰყვიროდეს.

## მიწის ძვრა და ცეცხლ-მქშინავი მთები.

ვინც თვალყურს ადევნებს ბუნებას, იმის შეუნიშნავი არ დარჩება ქვეყნის დღენიადაგ ცვლილება. დააკვირდეთ მრავალს ხევის წყლებს და დიდს მდინარეებს, რომელთაც თან მოაქვთ ქვები, და დაფხვნილი მიწა მთებისა ლექი და სტოვებენ მინდვრებზე ზღვის პირათ და უმეტესი ნაწილი ჩააქვთ ზღვაში, და ზღვის ძირზე დაეფინება. ვისაც ზღვაში უმგზავრნია, ისიც შენიშნავდა, რომ თვითონ ზღვის კიდეებსაც ზეემტვრევიან, ებრძვიან ზვირთნი ზღვისანი, ჰგლეჯენ მიწის ნამზღვლევებს, მოჰხეთქენ ხოლმე კლდიდგან ლოდებსა, ამტვრევენ ამათ, ანაცრებენ და ჩააქვთ ზღვის ძირში. ინდოეთში ერთი წყალია სახელათ ირავადდი, რომელსაც დღეში მოჩჩილი მთის ოდნა მიწა მიაქვს ზღვაში ლექათა. შორს რაღათ მივდივართ. იმერეთში რიონი ყოველ წელიწადს ნიაღვრის დროს თავის ნაპირებზე გადადის და ორპირიდგან დაწყებული ფოთამდის ორივე კიდეებზე მეოთხედი ვერსის სიგანეზე ერთი მტკაველის სისქეს ლექსა სტოვებს ხოლმე. ორპირიდგან ფოთამდის ასი ვერსია. რაც ამ მანძილზე რიონი ტალახსა ჰსდებს, სულ ერთალაგას რომ მოუგროვოთ, იმისგანაც გაკეთდება ერთი დიდი გორა, ან მოჩჩილი მთა. ჩვენი დედა მტკვარიც, თუ მეტს არა, ნაკლებს ზიანს არ უშვრება კავკასიის მთებსა. და თუ რიონი და მტკვარი რამდენიმე დღის განმავლობაში ამდენს მიწას ჰგლეჯენ კავკასიის მთებიდგან და მიაქვთ ბარათ, მაშ ერთი წლის განმავალობაში რამდენილა უნდა ჩაიტანოს ზღვაში? როგორც მოგეხსენებათ დედა-მიწის ზურგზე რიონისთანა და მტკვრისთანა მდინარე მილიონია, რომელნიც მუდამ ამათსავით არღვევენ მთებს და იქიდგან წამოღებული ქვა, მიწა, ტყე, და სხვ, მიაქვთ ზღვაში. ამ სახით წყალი ნიადაგ ართმევს ქვეყნის მთებს და ხმელეთს მიწასა, არღვევს, ადაბლებს ამაღლებულს ადგილებსა და რომ მართლაც სხვა რაიმე ღონისძიებით არ ემატებოდეს ხმელეთსა, რაც წყლისაგან დაჰკლებია, აქამდის მთა და ბარი ისე გასწორდებოდა, რომ მთელ დედა-მიწის ზურგზე ხელის გულის ოდნა მიწაც აღარ დარჩებოდა წყალ გადაუვლელი. მთელს ქვეყანას წყალი დაიჭერდა. მაგრამ რაც ამ მხრით ხმელეთს აკლდება, იგივე ემატება მიწის ძვრისაგან. დღე არ გავა, რომ დედა-მიწის ზურგზე რომელიმე ალაგი არ დაინძრეს და ამისგამო სადმე ქვეყნის პირი არ ამაღლდეს. ამ ორმოცდა ექვსი წლის წინათ სამხრეთ ამერიკაში შვიდას-რვაას ვერსტზე ერთს ადგილს ჩილის სახელმწიფოში შემდეგ საშინელის ძვრისა მიწის პირი ამაღლდა ერთ საჟენზე. უნდა წარმოიდგინოთ, რომ აქ ისეთი მაღალი ქედები და მთის წვერებია, რომ ჩვენი კავკასიის მთებზე ბევრათ უმაღლესი და უდიდესი და ეს უზარ-მაზარი მთები და მთელი ერთი მაზრა სახელმწიფოისა მიწის ძვრამ ერთიანათ ასწია მაღლა ერთ საჟენზე. არამც თუ ხმელეთის პირი, იმ მხარეზე ზღვის სიღრმეც გაზომეს სხვა და სხვა ალაგას და დარწმუნდნენ, რომ ზღვას სიღრმეც მოჰკლებიყო ერთი საჟენი; ცხადათ სჩანდა, რომ ზღვის ძირიც ერთ საჟენზე აწეულიყო. ათას რვას ოცდა ცხრამეტს წელს ინდოეთში ერთი დიდი მდინარის პირზე ზღვის მახლობლათ უეცრად ერთ საჟენ ნახევარზე მიწა ამაღლდა სიგძით სამასი ვერსი და სიგანით ას თორმეტი ვერსი, ასე რომ მიწისაგან ერთი გძელი კედელი გაკეთდა. ეს მიწის კედელი ახლაც არის ინდოეთში და ეძახიან ღ ვ თ ი ს  კ ე დ ე ლ ს ა. რუსეთის ჩრდილოეთით არის ერთი დიდი ნახევარი კუნძული, სახელათ სკანდინავია, სადაც იმყოფება შვეციის სახელმწიფო. მეცნიერებმა დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ გამოიკვლიეს, რომ ყოველ საუკუნის განმავლობაში ეს ქვეყანა ერთ არშინზე მაღლდება. ამისთანა მაგალითები მიწის პირის ამაღლებისა და მთების გაკეთებისა ურიცხვია ქვეყანაზე და სოფლის დაარსებიდგან ეს მუდამ ასე ყოფილა. ამ სახით რამდენათაც წყალი არღვევს და ადაბლებს მიწის პირსა, იმდენათაც მიწის ძვრა ამაღლებს ხმელეთსა და აკეთებს ახალს მთებსა წყლისაგან დაშლილი მთების მაგიერათ.

(შემდეგი იქნება).

## მიწის გასუქება ჩინეთში.

ჩინეთში მიწის გასუქებასა აქვს მიქცეული დიდი ყურადღება. იქ მიწას ასუქებენ რამდენიმე სხვა და სხვა გვარი საშუალებითა.

ძველს დროებში ჩინეთელებმა იცოდნენ მხოლოდ ერთი გვარი სასუქი. მაშინ მიწას კი არ ასუქებდნენ, ანოყივრებდნენ მხოლოდ თესლსა. ამისათვის აგროვებდნენ ძვლებს ცხენისას, ხარისას, ცხვრისას, ირმისას; მერე ნაყავდნენ და ხარშავდნენ სამს ზომა თოვლის წყალში, ასე რომ ერთ ჩაფს ძვალსა ყოფილიყო, სამ ჩაფ წყალს დაასხავდნენ. ამას სამჯერ აადუღებდნენ, წმინდა წვენს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწურავდნენ და შიგ ჩაჰყრიდნენ გარეულს მკლავწეწველასა. ერთ ჩაფს წვენზე ხუთი კონა მკლავწეწველა უნდა. ხუთი დღე შიგ ლბებოდა ეს მცენარე და მერე ამოიღებდნენ; წვენში ჩაჰყრიდნენ დაფშვნეტილს ცხვრის ანუ ირმის სასუქსა, კარგა აურევდნენ, გაათბობდნენ და მერე წვენით დანამავდნენ მარცვალსა, ანუ თესლსა; თესლს გააშრობდნენ მზეზე კარგათ და სთესავდნენ. თუ ძვალი არ იშოვებოდა, მაშინ სხვა და სხვა მატლებს მოხარშავდნენ, როცა პარკს გაათავებდა ჭია, და ამ წვენით ჩასთესავდნენ კვლებში თესლსა. ამგვარი სასუქისაგან უებარი კარგი მოსავალი მოდის.

ახლა ბევრგვარი სასუქი იციან; ზოგს ამზადებენ ბალახისაგან, ზოგს ცეცხლისაგან, ქვიშისაგან, ნარეცხისაგან.

ბალახის სასუქს აკეთებენ ისე, რომ სთიბავენ ბალახსა და ფიჩხსა სასუქ მიცემულს მიწაზე, როცა სრულებით გაიზდება. მერე ამ გათიბულს ბალახს აყრიან ჩალთუკის ნახნავსა და ზედ სტკეპნიან. ყოველ წელს რომ ასე მოექცნენ მიწასა, მაშინ მიწა ყოველთვის ნოყიერი იქნება,

ცეცხლის სასუქისათვის სწვენ ტორფსა ტორფს აგროვებენ ზღვის პირებში. კარგათ იწვება და აგროვებულს ბალახსა, მიწა რომ გაცივდება, მაშინვე აქეთ იქით გადაჰყრიან ნაცარსა. ეს საშუალება უფრო კარგი არის წყლიან ნახნავებში, ამიტომ რომ აქ მიწა ძალიან ცივი არის და ეს აძლევს სითბოსა. ამ გვარი მიწა კარგი არის ხორბლისა და ლობიოსათვის.

ქვიშის სასუქი კეთდება შავი ლამისაგან; ამ ლამს იღებენ არხებიდგან და ზღვის კიდეებიდგან და ნავებით გამოაქვსთ. ქვიშა რომ გაშრება, მაშინ გაურევენ კაცის სასუქში და ასე ხმარობენ. ეს საშუალება სხვებზე უფრო ძალიან აღონიერებს მიწასა.

ნარეცხის სასუქი ასე კეთდება: ნარეცხს წვენში ჰყრიან ქათმის ანუ სხვა მფრინველის ბუმბულსა, ნადირის ბალანსა და საქონლისაა და იმათ უწმინდურ შიგნეულსა. ამგვარად მომზადებული სასუქი ბევრითა სჯობია სხვა ბალახის სასუქსა.

მდაბლობიანი ნახნავები ჩინეთში ძალიან ცივი არის; ამიტომ სასუქში ურევენ ცოტა კირსა. ამისგამო მიწა თბება და მალეც ამოჰყავს თესლი.

ძაცის განავალს ძალიან ღონე აქვს; ამიტომ ხვნენ მთესველები, აკეთებენ ნახნავებში ორმოებსა და შიგ ჰყრიან ამ სასუქსა. მერე ხვნენ. ასე გასუქებულს ნახნავს უებარი კარგი მოსავალი მოჰყავს. ჩრდილოეთის მხნელმთესველნი, რომელნიც ამ სასუქს ახმარებენ, ათჯერ მომეტებულს მოსავალს იღებენ, ვიდრე სხვა ნახნავიდგან.

ვისაც ბაღები აქვსთ, ისინი სამზარეულოს ახლოს აკეთებენ ერთ ორმოსა. ამ ორმოს ცირწყლავენ აგურითა, რომ სისველე ძირს არ გაუვიდესო; მერე შიგა ჰყრიან ბრინჯის ჩენჩოსა, დამპალ ბალახსა, ჩამოცვივნილს ხიდგან ფოთოლსა და ზედ ასხმენ მსუქანს ნარეცხსა და სხვა უწმინდურ სისველესა. ეს ნარევი კარგა ხანი ლბება და თითონვე იწვება. ამ გვარად ამ ორმოში წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ ამზადებენ სასუქსა. ძანაფი და ფურცელი რაც ბევრჯერ ირწყვება ამ სასუქის წვენით, იმდენათ უფრო კარგათ იზდება.

მთიან ადგილებზე ნახნავები ძალიან ცივდება და ამიტომ იქა ხმარობენ ნაცარსა ძვლისაგან და ლოკოკინის ბუდისაგან, რომელსაც აგროვემენ ზღვის პირებში.

სამხრეთის ჩინეთში მემამულეებს მიაქვსთ გომში მუდამ დღე ნაცარი და უყრიან საქონელს ფეხ ქვეშ; აქავე ჰყრიან დამპალს ბალახსა და ფიჩხსა. როცა აივსება გომი ამ გვარის საქონლის ქვეშსაგებითა, მაშინ ამოჰხვეტენ და დაჰყრიან ერთ ადგილსა. მერე ეს კარგი სასუქი არის. დღეს რომ საქონელს დაუფინონ ბალახი ფეხ ქვეშ, ხვალ იქცევა ნაგვათ და ივარგებს სასუქათ. ამითი კარგა ბლომა სასუქს აგროვებენ თუ ყოველ დღე იმუდმეს.

ორმოებში სასუქს უფრო სამხრეთის ჩინეთში ამზადებენ, სადაც სასუქს ოქროს ეძახიან. ყველა სახლში აქვსთ ორმო, საცა ჰყრიან ნაგავს, ნაცარს და სხვა უწმინდურსა. როცა ეს გროვა დაიწყებს დუღილს, მაშინ ამოიღებენ და დაჰრიან ერთ ადგილსა. ორმოს სასუქი ძალიან კარგი არის, როცა სრულებით დამწვარსა ხმარობენ.

ხეხილისათვის ხმარობენ გამოხარშულ სასუქსა: ჯერ ფურის ძვლებს ალბობენ ფურისავე სასუქში; მერე ხარშვენ და ამის წვენს ასხმენ ხის ძირში. ეს სასუქი ისე კარგი და ღონიერი არის, რომ გამხმარი ხეც კი ცოცხლდება.

გარდა ამისა ჩინეთში მიწას ყოველთვის მოხვნის უწინ ასუქებენ და მერე ხვნენ. ამითი სასუქი ძირს ექცევა და ძირკვიც ღრმათ მიდის მიწაში. მოხნულს რომ ზეიდგან დააყარონ, მაშინ ძირკვი უფრო ზეით წავა და გვალვას ვერ აიტანს. როდესაც სასუქს ზეიდგან აყრიან, მაშინ გარდა ამისა ჯეჯილი სულ ბალახათ მიდის და თავთავს ვერ იკეთებს. ამიტომაც არის ნათქვამი: სასუქი წამალი არისო, ე. ი. ისე უნდა ახმარონ, როგორც წამალი.

სხვა და სხვა თესლისათვის სხვა და სხვა ნაირათ ასუქებენ მიწასა:

1) გასუქება ბრინჯის დასათესათ: დამპალი ქატო კარგი არის ჩალთუკის სასუქათ. ახმარებენ აგრეთვე ლამსა, ნაცრიან სასუქსა და ქუნჯუთის გამონახადსა. სამხრეთის ჩინეთში ჩალთუკის ნახნავში ჯერ პურსა სთესენ და ისევ მწვანეს ხვნენ მიწერითა. ამ გვარათ გასუქებულს ნახნავში ბრინჯი ერთი ორათ მოდის.

უწყლო ჩალთუკის მოყვანისათვის ნახნავს აყრიან ნაცრიან სასუქსა, ანუ რწყვენ წყლით, რომელშიაც გახსნილია ჩალთუკის ნამჯის ნაცარი. ყველა მარგვლის შემდეგ რწყვენ სასუქიანი წყლითა. ამ გვარათ სამჯერა რწყვენ და ჩალთუკი კარგათ მოდის.

ნაცრიანი სასუქი გარდა ნოყიერებისა, ჯეჯილს აკეთებს იმით, რომ მწერი ან ჭია ჭუა ალარ ეხვევა.

2) გასუქება ხორბლის ქვეშ. სახორბლე ნახნავი თესვამდე უნდა გასუქდეს და თესვის შემდეგ სასუქი არ უნდა. ჩინეთში თესლს აყრიან ნაცარსა და ზოგჯერ დარიშხანასაც, რომ მწერი არ დაეხვიოს ნახნავსაო.

პირველად თოვლს რომ დასდებს, მაშინვე ნახნავზე დასტკეპნიან, რომ ქარმა არ წაიღოსო; მეორე და მესამე თოვლსაც ასე ექცევიან. ამ გვარი მოვლის შემდეგ პური გვალვასაც იტანს და კარგ თავთავსაც იკეთებს.

## სხვა და სხვა ამბავი.

— ფრანციაში ხალხის განათლება: ამ საგანზედ ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია სტატია, საიდგანაც გამოვკრეფთ შემდეგს ცნობასა: ყველაზე უფრო განათლებული სახელმწიფო ის არის, საცა ყველაზე უფრო ცოტაა გაუნათლებელი კაცები და საცა უფრო მეტი სასწავლებლებია; ერის კეთილ-მყოფობა სამხედრო ხომალდების რიცხვით კი არ შეიტყობა და არც მდიდრულათ შემკულის დიდებულის ძეგლებითა, არამედ იმა პატივის ცემით და კეთილმდგომარეობითა, რომლითაც აჯილდოებს ერსა თავის მოძღვრებს (მასწავლებლებს). ვიდრე ფრანციაში პატივს სცემენ მხოლოდ სარდლებს და უმაღლესს გამგებლებს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა ამბებთა შორის ვიდრე ამისთანა ამბები არ მოიშლება, რომ ამა და ამა მასწავლებელს ორმოცდა რვა წლის სამსახურისათვის დაენიშნა ასი ფრანკი პენსიათა, ან უ. დ... პენსია ორმოც-და-ათი წლის მოძღვრობისათვის სამოცდა ერთი ფრანკია“ და სხვ. და სხვ. ვიდრე ამისთანა უსამართლობა და საზიზღარი ამბები არ მოიშლება: ვიდრე სხვა და სხვა მაზრებში ყოვლად გაუნათლებელი და უგნური ხალხი იმდენათ არ განათლდება, რომ არ მოიშლის თრთოლვას მღვდლისა ან დიაკვნის შიშით, მანამდის არც ჩვენ მოუშლით ფრანციას ამისთანა ლოპარაკსა: „რაც უნდა ბრკიალობდე და ტრაბახობდე შენის ძალითა, შენის დიდებითა, შენი ბრჭყინვარებითა და შენი განათლებითა, მანამდის შენი მომავალი დაღუპულია და გამოიცქირები მხოლოდ ძველს შემოცრეცილს ტანთ-საცმელებში. შენ აძლევ საწყალს ღარიბს მასწავლებლებს, რომელიც გემსახურებოდა ორმოცდა ათი წელი, მხოლოდ სამოცდა ერთს ფრანკს პენსიას, მაშინ როდესაც ამისთანა—თავხედი განზრახვის აასრულებლათ, როგორც მექსიკაში გალაშქრება, მილიონებს არ დაიშურებ. ამისთანა გარემოებაში ჩამდგარს არამც თუ შეგიძლიან განათლებულათ ისახელებდე თავსა, არამედ ძალიან დაახლოვებიხარ ბარბაროსობასა“..... ჟურნალი ამ სახით ათავებს თავის სტატიასა: ჩვენი შვილების მასწავლებლები იბრძვიან, როგორც დავიწყებულნი გმირნი, საშინელს სიღარიბეში, თითქმის ყოველს იმათგანსა ჰყავს მოხუცებული დედ-მამა, რომელნიც იმათი ხელით იკვებებიან, ამას გარდა ამათ უნდა არჩინონ თავის სახლობა, მაშინ როდესაც სარჩენი ღონისძიება ისე მცირე აქვთ, რომ მიუცილებელ თავის საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებენ. წარმოიდგინეთ, რამდენი ჯაფა უნდა დააყენონ თავია გონებას, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ. ამას გარდა რამდენი ეშმაკობა უნდა იხმარონ, რომ კარგი განწყობილება ჰქონდეთ ქალაქის გერთან, სოფლის მზვერავთან, მღვდელთან და ჟანდარმების უფროსთან. შემდეგ ორმოცდა ათის წლისა, რომელიც გაუტარებია საწყალს მოძღვარს ამდენს ჯაფაში, ჰმსახურებია სახელმწიფოს პატიოსნათ და ერთგულებით. შემდეგ ამისა სახელმწიფო აძლევს ხოლმე თავის საუნჯეს, რომ მოხუცებით-მოუძლურებულს ხელი გაუმართოს, არჩინოს იმის ღვაწლის შესაფერად: ის უნიშნავს ყოველ დღე თავის გასავლებათ შვიდშეტს სანტიმსა. მაშ ჩვენს ღმერთებს მადლობა შევსწიროთ, რომ იმათ მოგვცეს პირველი ადგილი ერთა შორის ამ ქვეყანაში. ჩვენ ერთი მილლიონი ორასი ათასი სალდათი გვყავს.

---

## სამკურნალო (საექიმო) საზოგადოებისაგან.

**3,000 მანეთის ჯილდოთ დანიშვნა იმისთვის, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს ყვავილის აჭრაზედ (აცრაზე).**

ასის წლის წინათ (1768 წელს 12 ოკტომბერს) იმპერატრიცას, ეკატერინე II ჰსურდა, რომ თავის ხალხი ეხსნა ყვავილის სასტიკი მოქმედებისაგან და პირველათ თვითონ აიჭრა და თავის უავგუსტესს მემკვიდრესაც აუჭრა ყვავილი. მას აქეთ დაიწყეს რუსეთში ყვავილის აჭრა.

ოცდა ათის წლის შემდეგ მას აქეთ, რაც ჯენერმა აღმოაჩინა ძროხის ყვავილის აჭრა და იმით მავნებელი მოქმედება ყვავილისა (ბატონებისა) მოსპო, ყვავილის აცრა ყველგან დაიწყეს.

სრულად არ არის ახსნილი ეს კეთილი საქმე და იმის ახსნა თუ როგორ უნდა უჭრან ძროხის ყვავილი, რომ გადამდებს ყვავილსა სრულებით დაეკარგოს თავის მავნებელი მოქმედება,—ეს დიდს სარგებლობას მისცემდა ხალხსა. ამისთვის სამკურნალო რჩევამ სხვათა შორის ჩვენი სამშობლოს სასარგებლოთ სთხოვა უფ. შინა საქმის მინისტრის შუამდგომელობით ხელმწიფე იმპერატორს, რომ იმას ნება მიეცეს რუსეთში და საზღვარს გარეთ გამოაცხადოს, რომ ჯილდო დაინიშნოს საუკეთესო თხზულების დაწერისათვის ზემოხსენებულს საგანზე. ამ თხზულებაში უნდა იყოს ნაჩვენები: ნამდვილი ღონისძიება, რომ გადამდები ყვავილი ხელახლა არ გაჩნდეს ხოლმე იმ ადგილებში, სადაც ერთხელ ყოფილა, და წაერთოს ძალა კაცების ხოცვისა. აგრეთვე უნდა იყოს ნაჩვენები სხვა და სხვა წესი ყვავილის აჭრისა და თითოეული იმათგანი კარგათ უნდა იყოს გარკვეული და განხილული, რომ ნათლად დაინახოს იმათში რომელი გვარი აჭრა ყვავილისა უმჯობესია სიმრთელისათვის.

დასაჯილდოებელი თხზულებისათვის სამკურნალო რჩევამ წარუდგინა შემდეგი პროგრამმა:

1) უნდა დაიწეროს ისტორია, თუ როდის და სად ყოფილა დიდი ავათმყოფობა გადამდები ყვავილითა და ისტორია ყვავილის აჭრისა, ამასთანავე მთხზველმა უნდა აჩვენოს რა სახელმწიფოში რა კანონებია გამოცემული ამ საქმეზე და სხვა და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც ყოფილან და არიან სადმე. ამ თხზულებაში ავტორი უნდა ცდილობდეს კარგათ განსაჯოს და განიხილოს ის საგანი, რაზედაც სწერს დააფასოს ღირსებისამებრ მოქმედებანი და კანონდებანი გამოცემულნი ყვავილის გაჩენის დროს.

2) მთხზველმა უნდა აჩვენოს, თუ რამდენათ ჰშველის კაცს ყვავილის აჭრა დიდი ყვავილის ვნებისაგან, აგრეთვე აჩვენოს რამდენათ სარწმუნოა ზოგიერთი ექიმების აზრი, ვითომ ყვავილების აჭრა სხვა გადამდებს ავათმყოფობაებს ავრცელებს ხალხშიო.

3. ყვავილია აჭრით აღარ შეეყრება კაცს დიდი ყვავილი, ან თუ შეეყრება, მაინც რამდენის ხნის განმავალობაში აღარ შეეყრება? უნდა გამოცხადდეს მიზეზები, რომელნიც დაიფარვენ ყვავილისაგან. უნდა იყოს ნაჩვენები იმათი რიცხვი, რომელთაც აუჭრიათ და შემდეგ ყვავილს მაინც დაუხოცნიათ. კარგათ უნდა იყოს განხილული და შემოწმებული იმათი წლოვანება და რიცხვი მომხვდართო ყვავილისაგან.

4. დაწვრილებით უნდა აღიწეროს აჭრის შემდეგ ყვავილის გამოფენა და დაცხრომა, აგრეთვე იმისი გაძნელება, ან არ გამოჩენა. უნდა იყოს ცხადის შემთხვევეებით დამტკიცებული, რომ საზოგადოთ აცრა არგებს ტანსა. დაწვრილებითი გამოძიება ყვავილის ბალღმისა. და ნათლად უნდა აჩვენონ ამ ბალღამში ის ნაწილი, რომელსაც აქვს გადამდებობის თვისება.

5. ყვავილის ბალღმის ტანში შეტანა აჩენს თუ არა სხვა გადამდებ ავათმყოფობებსა და სახელდობ რა ავათმყოფობებსა?

6. უნდა იყოს კრიტიკულათ განხილული, განსჯილი ყველაგვარი ყვავილის აჭრა, რომელიც ყოფილა ჯენერის დრომდის და იმის შემდეგაც. კარგი იქნება, თუ მთხზველნი მოიყვანენ თავის გამოცდილებასა და შენიშვნებსა ამ შემთხვევაში.

7. როგორ უნდა შეკრიბონ და შეინახონ ბალღამი რამდენს ხანს შეინახება ისე, რომ ბალღამი უცვლელად დარჩეს; როგორ უნდა გაიგზავნოს სხვა და სხვა ადგილებზე, განსაკუთრებით მოშორებულს ადგილს;

8. რა ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ საუკეთესო აჭრა ყვავილისა გავრცელდეს ხალხში.

10. ყვავილის აჭრის ინსტიტუტების დაწესება კარგის ბალღმის მოსაპოებლათ და ყვავილის აჭრის გასავრცელებლათ.

შენიშვნა 1, კარგი იქნება, რომ მთხზველმა აჩვენოს ღონისძიება, რომლითაც დაარსდება საუკეთესო ყვავილის აჭრა რუსეთში იმის მიხედვით რამდგომარეობაშიაც ამ ჟამათ ის არის რუსეთში

შენიშვნა 2. რასაკვირველია საგნების დაწყება თხზულებაში ავტორზეა დამოკიდებული.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го февраля, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.